2-11999/25
11-09-2025

საქართველოს პარლამენტის
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის
თავმჯდომარეს ბატონ პაატა კვიჟინაძეს

ბატონო პაატა,

საქართველოს პარლამენტის ბიუროს N69/2-XIმპ, 01.09.2025; N69/3-XIმპ, 01.09.2025; N69/4-XIმპ, 01.09.2025 და N69/5- XIმპ, 01.09.2025 გადაწყვეტილებებით, ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს სავალდებულოდ განსახილველად გადმოეცა რატიფიცირებისთვის წარმოდგენილი შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებები:

- საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისთვის წარმოდგენილი „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების“ II ოქმის ჩანაცვლების თაობაზე, რომელიც შეეხება „საქონლის წარმოშობის“ ცნების განსაზღვრას და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდებს, „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების“ საფუძველზე შექმნილი ერთობლივი კომიტეტის №1/2025 გადაწყვეტილებას“ (№07-2/63; 06.08.2025).

- საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისთვის წარმოდგენილი „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (პროექტი Log-In Georgia-ს დამატებითი დაფინანსება)“ (№07-2/64; 08.08.2025).

- საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისთვის წარმოდგენილი „2020 წლის 31 აგვისტოს „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (პროექტი Log-In Georgia)“ №2 ცვლილების წერილ-შეთანხმება“ (№07-2/65; 08.08.2025).

- საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისთვის „დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით საგადასახადო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ“ მრავალმხრივი კონვენციის ფარგლებში საქართველოს მიერ წარსადგენი განახლებული დათქმებიდა შეტყობინებები“ (№07-2/66; 12.08.2025).

გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებების განხილვის ვადების გაგრძელება 30 დღით.

კომიტეტის თავმჯდომარე
შოთა ბერეკაშვილი